საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №96

2013 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების 2014 წლის წლიური საიმპორტო კვოტის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 4^1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2014 წლის წლიური საიმპორტო კვოტები ოზონის შრის დამშლელი შემდეგი ნივთიერებებისთვის:

ა) წყალბადქლორფტორნახშირბადი (CHF2Cl, HCFC-22) – 83,9 მეტრიკული ტონა;

ბ) 1-ქლორ-1,1-დიფტორეთანი (CH3CF2Cl, HCFC-142b) და ქლორდიფტორეთანები (C2H3F2Cl, HCFC-142) – 11 მეტრიკული ტონა;

გ) მეთილბრომიდი (CH3Br) – 18,2 მეტრიკული ტონა.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 5 იანვრიდან.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — **ხათუნა გოგალაძე**